რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის პირველიერარქად მანჰეტენის ეპისკოპოსი ნიკოლოზი გამოარჩიეს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 13.09.2022. 13 სექტემბერს საღმრთო ლიტურგიისა და პარაკლისის დასრულების შემდეგ ნიუ-იორკის (აშშ) ზნამენიეს საკათედრო ტაძარში მუშაობა დაიწყო რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო კრებამ. მასში მონაწილეებმა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის პირველიერარქად მანჰეტენის ეპისკოპოსი ნიკოლოზი გამოირჩიეს, – *იტყობინება* ***რსმე-ის საიტი.***

2007 წლის 17 მაისის კანონიკური ერთობის აქტის შესაბამისად, რსმე-ის სამღვდელთმთავრო კრება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს გაუგზავნის დამთვლელი კომისიის მიერ შედგენილ აქტს შემდგარი გამორჩევის თაობაზე, აგრეთვე შუამდგომლობას პირველიერარქად სახელდებულის მხრიდან ძმები-მღვდელთმთავრების მიერ მასზედ დაკისრებულ თანამდებობებზე

კურთხევის მიღებაზე და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ მისი გამორჩევის დამტკიცების შესახებ.

რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის ახალგამორჩეული პირველიერარქის აღსაყდრება 18 სექტემბერს არის დაგეგმილი. მას გადაეცემა სამღვდელთმთავრო კვერთხი, რომელიც ნაკურთხია წმინდა მღვდელთმთავრისა და აღმსარებლის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ტიხონის პატიოსანი ნაწილების ლუსკუმაზე.

*

ეპისკოპოსი ნიკოლოზი დაიბადა 1974 წლის 17 დეკემბერს ქალაქ ტრენტონში (აშშ, ნიუ-ჯერსის შტატი).

1998 წ. დაამთავრა წმიდა სამების სასულიერო სემინარია ჯორდანვილში ღვთისმეტყველების ბაკალავრის ხარისხით. სემინარიაში სწავლის პერიოდში მუშაობდა წმიდა სამების მონასტერში წიგნსაკინძ და ხატების დასამზადებელ სახელოსნოებში და 2002 წლამდე – მონასტერის ტიპოგრაფიაში.

2000 წ. დაამთავრა State University of New York Technology School ინფორმაციისა და კომუნიკაციის ბაკალავრის ხარისხით.

1999 წ. მარტიდან 2008 წ. მარტამდე მთავარეპისკოპოს ლავროსის (შკურლა; 2001 წ. მარტიდან 2008 წ. მარტამდე – მიტროპოლიტი) მესენაკის მორჩილებას ასრულებდა 2004 წლის მაისში რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის პირველიერარქს მიტროპოლიტ ლავროსს თან ახლდა რუსეთში მისი პირველი ოფიციალური ვიზიტისას. 2006 წლის მაისში მონაწილეობდა რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის IV გაფართოებული კრების მუშაობაში.

2004 წლის 12 ივნისს აღმოსავლეთ-ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტ ლავროსის მიერ ხელთდასხმულ იქნა დიაკვნად ჯორდანვილის წმიდა სამების მონასტერში.

2007 წლის მაისში მონაწილეობდა კანონიკური ერთობის აქტის ხელმოწერის ზეიმში, რის შემდეგაც მიტროპოლიტ ლავროსის თანმხლები გახდა კურსკის ეპარქიასა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მომლოცველობით მოგზაურობაში.

2008 წლის სექტემბერში რსმე-ის სამღვდელთმთავრო სინოდის კაცელარიის თანამშრომლად დაინიშნა.

2009 და 2010 წლებში რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის დელეგაციაში თან ახლდა კურსკის კორენის ღვთისმშობლის ხატს რუსეთსა და უკრაინაში. 2010 წლის დეკემბერში დაინიშნა ამ ხატის მცველად. მას შემდეგ ამ სიწმინდეს არაერთხელ ახლდა სხვადასხვა ქვეყანაში და კონტინენტზე.

2011 წლის იანვრიდან ნიუ-იორკის ზნამენიეს საკათედრო ტაძრის კლირიკოსია.

რსმე-ის სამღვდელთმთავრო სინოდის გადაწყვეტილებით გამორჩეულ იქნა მანჰეტენის ეპისკოპოსად და აღმოსავლეთ-ამერიკის ეპარქიის ვიკარიუსად. ეს გამორჩევა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა 2014 წლის 19 მარტის განჩინებით დაამტკიცა.

2014 წლის 4 აპრილს ჯორდანვილის წმიდა სამების მონასტერში სავანის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ლუკამ (მურლიანკა) მონაზვნად აღკვეცა ნიკოლოზის სახელით (წმიდა მღვდელთმთავარ ნიკოლოზ იაპონელის საპატივცემულოდ). 27 აპრილს ბერლინისა და გერმანიის მთავარეპისკოპოსმა მარკოზმა არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა.

ეპისკოპოსად სახელდება შედგა 28 ივნისს, ქიროტონია – 2014 წლის 29 ივნისს სან-ფგრანცისკოში ღვთისმშობლის „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ სახ. საკათედრო ტაძარში. საღმრთო მსახურებას უძღვებოდა აღმოსავლეთ-ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტი ილარიონი.

რსმე-ის სამღვდელთმთავრო სინოდის 2022 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით დაინიშნა რსმე-ის პირველიერარქის კანცელარიის გამგედ.

რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის პირველიერარქ ილარიონის (კაპრალი) გარდაცვალებასთან დაკავშირებით, 2022 წლის 17 მაისს დაინიშნა აღმოსავლეთ-ამერიკის ეპარქიის მმართველის მოვალეობის შემსრულებლად.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89628/